



სსიპ - კოლეჯში „აისი“ ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესის მიზანია საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – კოლეჯში „აისი“ (შემდგომი - კოლეჯი) ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების, ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების დროს დამუშავებული მონაცემის შენახვის, დაარქივების, დაცვისა და გამოყენების წესის განსაზღვრა.
2. ამ წესის მიზანია აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების, ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების დროს დამუშავებული მონაცემის შენახვის, დაარქივების, დაცვისა და გამოყენების წესის განსაზღვრა.
3. საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – კოლეჯში „აისი“ ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციის შესაბამისად, შენობების ვიდეოთვალთვალის, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის და გამოცდის/ტესტირების მიზნებისა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნით.

მუხლი 2. წესის მოქმედების სფერო და სამართლებრივი საფუძვლები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებასთან, ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების დროს დამუშავებული მონაცემის შენახვასთან, დაარქივებასთან, დაცვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. ამ წესის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების ძირითადი პრინციპები

1. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღალავად.
2. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ წესით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.
3. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის.
4. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.
5. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემები უნდა იყოს ამ წესით განსაზღვრული მიზნის ადეკვატური და პროპორციული.
6. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი ინახება მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად, ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.
7. დაუშვებელია ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის უკანონოდ გამჟღავნება ან ნებისმიერი ფორმით უკანონოდ გამოყენება.

მუხლი 4. კოლეჯის შენობის, კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობა რეალურ დროში

1. კოლეჯის შენობის ვიდეომეთვალყურეობა გულისხმობს შენობის მხოლოდ გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგის განხორციელებას რეალურ დროში.
2. კოლეჯის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კოლეჯის ყველა დერეფნის, შესასვლელის (ფოიე), სწავლებისათვის გამოყოფილ შესაბამისი ოთახ(ებ)ის და კიბის უჯრედის ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. დაუშვებელია ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება კოლეჯის ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.
3. კოლეჯი ვალდებულია კოლეჯის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემით ვიდეოჩაწერა აწარმოოს მთელი სასწავლო დროის განმავლობაში, ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემით - მუდმივად.
4. კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის თვალსაჩინო ადგილას განთავსება. ამ შემთხვევაში

მონაცემთა სუბიექტი (ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება) მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება.

- სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის და გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია.
- კოლეჯში სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელების შემთხვევაში დასაქმებული ყველა პირი შესაბამისი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეომეთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.
- კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალებას უშუალოდ ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მიერ საამისოდ განსაზღვრული პირ(ებ)ი.
- კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას, შესაბამისი ტექნიკური საშუალების ეკრანზე გამოსახული მონაცემის რეალურ დროში ნახვისა და დაკვირვების უფლება აქვს მხოლოდ კოლეჯის დირექტორის მიერ საამისოდ განსაზღვრულ პირ(ებ)ს. მათი არყოფნის შემთხვევაში, მონაცემების ნახვა და დაკვირვება შესაძლოა განხორციელოს დარაჯმა.

მუხლი 5. ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის დაცვის, შენახვის, დარქივებისა და გამოყენების წესი

- კოლეჯის შენობისა და კოლეჯის სამუშაო ადგილზე, ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი ინახება კოლეჯის შენობაში.
- კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი ინახება კოლეჯში დაცულ ადგილზე, სადაც უზრუნველყოფილია ამ მონაცემზე მხოლოდ იმ პირთა დაშვება, რომელიც განსაზღვრულია ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით.
- კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისთვის აუცილებელი შესაბამისი ტექნიკური საშუალებების მოწყობას, მათ გამართულ ფუნქციონირებას, ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის შენახვას და ისეთ პირობებში დაცვას, რაც გამორიცხავს აღნიშნული მონაცემის დაკარგვას, მისი ნებისმიერი ფორმით უკანონოდ გამოყენებას, ისეთი პირების მასზე წვდომას, რომლებიც არ არიან განსაზღვრული ამ ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით, უშუალოდ უზრუნველყოფს კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი/საამისოდ უფლებამოსილი პირი.
- კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი ინახება ფაილური სისტემის სახით. ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა, აღნიშნული სისტემა შეიცავს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.
- კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის ნებისმიერი ფორმით უკანონოდ გამოყენების, ამ მონაცემთან დაკავშირებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯს.
- კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებულ და შენახულ მონაცემზე წვდომის უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს, კოლეჯის დირექტორის მოადგილეს და ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)ს.
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების მიზნით განთავსებულ შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირებას ექმნება რეალური საფრთხე და აღნიშნულის გამო არსებობს ვიდეომეთვალთვალების განხორციელების დროს დამუშავებულ და შენახულ მონაცემებზე წვდომის გადაუდებელი საჭიროება, კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი/საამისოდ უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია ვიდეომეთვალთვალების განხორციელების დროს დამუშავებულ და შენახულ მონაცემებზე წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის დადგენილი წესის დაუცველად, კოლეჯის დირექტორის წინასწარი ნებართვის გარეშე განახორციელოს წვდომა შესაბამისი მონაცემ(ებ)ზე.
- ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორს, ქსელის ადმინისტრატორის/საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ დირექტორის წინასწარი ნებართვის გარეშე შენახულ მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით უნდა ეცნობოს არაუგვიანეს 24 საათისა.
- კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის ჩაწერა და შენახვა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში, რა დროსაც ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების შევსებისას ხორციელდება ახალი ინფორმაციის ჩაწერა ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის განადგურების შედეგად.
- ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი, ავტომატურ რეჟიმში განადგურებამდე, ინახება არაუმეტეს 10 დღის ვადით.
- კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
- თუ კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული მონაცემი შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სასამართლოში გამოკვლევით, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების მიზნებისთვის, კოლეჯის დირექტორის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე, უშუალოდ კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი/საამისოდ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ამ მონაცემის დაარქივებას შესაბამისი შემნახავ საშუალებაზე (კომპაქტ დისკი, USB მეხსიერების მოწყობილობა და ა.შ.) ჩაწერის გზით.
- ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალთვალების განხორციელებისას დამუშავებული და დარქივებული მონაცემის შესაბამისი პირისთვის გადაცემას, მისი სამართალწარმოების მიზნებისთვის გამოსაყენებლად, კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი/საამისოდ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის მიერ გაცემული თანხმობის/გადაწყვეტილების საფუძველზე.
- ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაარქივებული მონაცემის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის გადაცემას სამართალწარმოების მიზნებისთვის გამოსაყენებლად, კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი/საამისოდ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის/დირექტორის მოადგილის თანხმობის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით

განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლის მიხედვით. არასამუშაო საათებსა და დღეებში კოლეჯის შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლების არყოფნის შემთხვევაში, დარაჯი უფლებამოსილია ითანამშრომლოს სამართალდმცველებთან დანაშაულის/საფრთხის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით და უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის შესაძლებლობა.

15. ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად დაარქივებული მონაცემი ინახება სამართალწარმოების დასრულებამდე, ხოლო სამართალწარმოების დასრულების დღეს ნადგურდება დაუყოვნებლივ.
16. ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად დაარქივებულ მონაცემს ანადგურებს უშუალოდ კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი/საამისოდ უფლებამოსილი პირი კოლეჯის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების ან კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრული სხვა პირის მონაწილეობით.
17. ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად დაარქივებულ მონაცემის განადგურების დროს დგება განადგურების შესახებ აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი/საამისოდ უფლებამოსილი პირი, კოლეჯის დირექტორის მოადგილე (განადგურების პროცესში მონაწილეობის შემთხვევაში) ან კოლეჯის დირექტორის მიერ ამ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული პირი.
18. კოლეჯის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით შესაძლოა შეგროვდეს შემდეგი სახის მონაცემები: სახელი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, მისამართი, შესვლისა და გასვლის თარიღები და დრო, ასევე შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მიზეზები.
19. ამ წესის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მონაცემთა შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მათი ჩაწერის დღიდან 10 დღეს.